საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება**********

__/__/____

ქ.თბილისი

„სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის №3 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის №3 დადგენილებით დამტკიცებულ „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულებაში" (სსმ III, 09.07.2010 №83 მუხ. 1203) შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ლ) ქვეპუნქტი:

ლ) აქტიური სააბონენტო ნომერი - სააბონენტო ნომერი, რომელზეც ან/და რომლიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ზარი ან რომლიდანაც გაიგზავნა მოკლე ტექსტური/მულტიმედიური შეტყობინება, ან/და აბონენტმა ისარგებლა სხვა დამატებითი მომსახურებით.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ) ქვეპუნქტი:

"ვ) ყოველი თვის 5 რიცხვამდე, კომისიას და სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორს მიაწოდონ ინფორმაცია წინა სრული თვის განმავლობაში მათ მფლობელობაში არსებული, აბონენტზე რეგისტრირებული აქტიური სააბონენტო ნომრების თაობაზე."

3. მე-10 მუხლის ი) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ი) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს, სააბონენტო ნომრების პორტირების პროცესის უზრუნველყოფის მომსახურება გაუწიოს ხარჯებზე ორიენტირებული, არადისკრიმინაციული და მათ მფლობელობაში არსებული, აბონენტზე რეგისტრირებული აქტიური სააბონენტო ნომრების პირდაპირპროპორციულად დადგენილი ტარიფებით, რომელიც ითვალისწინებს გაწეულ ინვესტიციაზე გონივრულ უკუგებას.

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.